

ვამტკიცებ შ.პ.ს. ზემოქმედების ინფექციური საავადმყოფოს“

დირექტორი

თორნიკე ჯანაშვილი

16.10.2023. წ

ZIHL SN-8

ელექტრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი

ელექტრული დენის ზემოქმედების შედეგად მიღებული ტრავმის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ გამოირთოს ელექტროდანადგარი გამთიშველის საშუალებით, მცველების მოხსნით, ჩანგლის გამოძრობით, 1000 ვ ძაბვის გამტარის თითოეული ფაზის ცალცალკე გადაჩეხვით მშრალსახელოვანი ნაჯახით, ან მშრალი ჯოხის, ფიცრის ან სხვა დენგამტარი მშრალი საგნის მეშვეობით მოცილებული იქნეს მავთული დაზარალებულისაგან. დაზარალებულის მოსაცილებლად დენგამტარი ნაწილებისაგან შეიძლება მისი გათრევა ტანსაცმელზე ხელის მოკიდებით, თუ ტანსაცმელი მშრალია და სცილდება ტანს. ამ მოქმედებების ჩატარება ხდება ერთი ხელით, რათა თვითონ არ აღმოჩნდეს დამხმარე ელექტრომოწყობილობის ელექტროგამტართან კონტაქტში ან მიწაზე დენის გავცელების ზონაში ბიჯური ძაბვის ქვეშ. არ შეიძლება დაზარალებულთან ხელით შეხება სანამ ის არის დენის ზემოქმედების ქვეშ. დახმარების აღმოსაჩენად, დამხმარეს ხელზე უნდა ეცვას დიელექტრიკული ხელთათმანი ან ხელზე დახვეული ყელსახვევი, ხელზე წამოცმული მჭიდრო ნაჭერი, წამოცმული კოსტიუმის ან პალტოს სახელო, ან დაზარალებულს გადააფაროს დარეზინებული ნაჭერი ან მშრალი ნაჭერი. თუ ძაბვის სიდიდე აღემატება 1000 ვ, დაზარალებულისაგან დენგამტარი სადენების მოსაცილებლად უნდა ეკეთოს დიელექტრიკული ხელთათმანები, დიელექტრიკული ბოტები და მშრალი ხის ტოტის, ფიცრის ან სხვა საგნის ნაცვლად უნდა ისარგებლოს სათანადო ძაბვის შესაბამისი იზოლირებული შტანგით. თუ დაზარალებული იმყოფება სიმაღლეზე, ძაბვის გათიშვამდე მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულის ვარდნა და დამატებითი ტრავმის მიყენების შესაძლებლობა. საჭიროა დაზარალებულს გაუხსნათ ტანსაცმელი, უზრუნველყოთ სუფთა ჰაერის მიწოდება, ხელოვნური

სუნთქვისა და გულის არაპირდაპირი მასაჟით უზრუნველყოთ სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის აღდგენა (მაჯისცემის და ბუნებრივი სუნთქვის აღდგენამდე ან მედიცინის მუშაკის ოსვლამდე), ელექტრული დამწვრობების ადგილებზე გაუკეთდეს სტერილური გადახვევები და დაზარალებულის ვარდნის დროს მიღებული ამოვარდნილობების და დაზიანებების, მოტეხილობების დასაფიქსირებლად, უზრუნველყოთ მისი გაუნძრევლობა (არტახების, ხელთარსებული საშუალებების - ფიცარი, სარტყელი, არტახის დადება). დაზარალებულის მიერ მექანიკური ტრავმების მიღებისას, რომელსაც თან ახლავს სისხლდენა, აუცილებელია სისხლდენის შეჩერება: არტერიული სისხლდენის (სისხლი ალისფერის, გამოედინება პულსირებულად) დროს - არტერიაზე უნდა დაეჭიროს თითი, ჭრილობის ზემოთ მოეჭიროს ჩალიჩი (ჟგუტი), ჭრილობის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობით დამუშავდეს ჭრილობის ნაპირები სპირტით (ოდეკოლონით), იოდით და შეიხვეს სტერილურად შესახვევი მასაქლით. სახვევის დახვევა ხდება ზემოთ აწეულ, წინასწარ რაიმე ნაჭრით შემოხვეულ კიდურზე, და ფიქსირდება კიდურის გარე ნაწილზე. სახვევის პირველი ხვიის დადებისას უნდა დარწმუნდეს რომ პულსი არ სცემს. დანარჩენი ხვიები ედება ნაკლები მოჭერილობით. სახვევის ქვეშ აუცილებლად უნდა მოთავსდეს წერილი, რომელშიც მითითებული იქნება ჩალიჩის დადების დრო. დადებული ჩალიჩით ყოფნა შეიძლება არაუმეტეს ერთი საათისა; ვენური სისხლდენის დროს (სისხლი მუქია და არ პულსირებს) ჭრილობაზე ედება ანტისეპტიკით გაჟღენთილი საფენი და უკეთდება მჭიდრო გადახვევა. დაზარალებულს ეძლევა ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. უმნიშვნელო ჭრილობებისა და ნაკაწრების დროს ხდება მათი დამუშავება იოდის ან მწვანე ბრილიანტის ხსნარით და ედება ბაქტერიოციდული წებვადი სადები, ან უკეთდება ასეპტიკური გადახვევა. ხერხემლის მოტეხილობის დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი სრული სიმშვიდე და დაზარალებულის ფიცარზე გაუნძრევლა წოლა. კიდურების მოტეხილობის დროს უნდა მოხდეს მოტეხილი კიდურის იმობილიზაცია (გაუნძრევლობა), ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, გადატეხილი ორი ერთმანეთის მოპირდაპირე ძვლების ფიქსაციით, მოტეხილი ხელის ტანთან, ხოლო ფეხის ფეხთან. ღია მოტეხილობის შემთხვევაში აუცილებელია ჭრილობის გარშემო კანის ზედაპირზე იოდის ხსნარის წასმა და

სტერილური სახვევის დადება, სანამ მოხდებოდეს მისი დამაგრება არტახით. არტახი უნდა დაედოს ისე რომ არ მოექცეს ჭრილობის ზემოდან და არ აწვებოდეს მოტეხილ გამოშვებულ ძვალს. ამოვარდნილობის დროს აუცილებელია კიდური დაფიქსირდეს უმოძრაო მდგომარეობაში, ხოლო მყისიერ დაჭიმვისას დაჭიმული მყისიერი გადაიჭიროს მჭიდროდ და დაედოს ყინული.

ელექტრო ხელსაწყოთა გამოყენება სასტიკად აკრძალულია ნებისმიერი თრობის ზემოქმედების ქვეშ (ალკოჰოლური, მედიკამენტური, ნარკოტიკული და ა.შ) • ელექტრო ხელსაწყოების გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ ხელსაწყო არის ქარხნულად გამართული და არ აღენიშნება გარეგანი დაზიანება • აკრძალულია ელ.ხელსაწყოთა გამოყენება ქარხნულად გათვალისწინებული დამცავი მოწყობილობის/აქსესუარის გარეშე! • ჩანგლისებრი შესაერთებელი უნდა იყოს გამართული და დაზიანების გარეშე • აუცილებელია ელ. ხელსაწყოთა დენის წყაროსთან იზოლირება • ხელსაწყოთა ელ.კაბელი უნდა იყოს ქარხნულად გამართული და დაზიანების გარეშე • ელ. ხელსაწყოთა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ • გადახურების, გაუმართავი მუშაობის შემთხვევაში, შეაჩერეთ ელ.ხელსაწყოთა გამოყენება და ამოიღეთ სამუშაო პროცესიდან • არ ეცადოთ დაზიანებული/დეფექტიანი ელ.ხელსაწყოთა თვითნებურად შეკეთებას! • აკრძალულია ელ.ხელსაწყოთა დაერთება დენის წყაროსთან ჩანგლისებრი შესაერთებლის გარეშე!

მოარიდეთ ელ. ხელსაწყოთა ნესტი/წყალი (ელექტრო შოკის მიღების საფრთხე) • ყოველთვის გამოიყენეთ პირადი დამცავი აღჭურვილობა: დამცავი ჩაფხუტი, დამცავი სათვალე/ფარი, დამცავი ხელთათმანები, დამცავი ფეხსაცმელები. (დამატებითი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება დამოკიდებულია ელ.ხელსაწყოთა სახეობასა და შესასრულებელ სამუშაოზე) • ელ.ხელსაწყოთა დენის წყაროსთან დაერთებამდე, დარწმუნდით რომ ხელსაწყო გამორთულია ხელსაწყოზე არსებული ჩამრთველ-გამომრთველით (ON/OFF უნდა იყოს დაყენებული OFF-დოლაზე) • ელ. ხელსაწყოთა ნებისმიერი კორექტირებისა თუ მასზე აქსესუარის შეცვლის პროცესამდე აუცილებლად გამორთეთ მოწყობილობა დენის წყაროდან! • სამუშაოს შესრულების შემდეგ, არ დატოვოთ ელ.ხელსაწყოები უყურადღებოდ. არ განათავსოთ ელ.სადენები ისეთ ადგილას სადაც მოძრაობა უწევს სხვა

დასაქმებულებს ან/და ტექნიკას • ელ. სადენი მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას, წყალს, ზეთოვან სითხეს, ბასრ ზედაპირებსა და მოძრავ მექანიზმებს, რათა მინიმუმადე შემცირდეს აღწნული სადენის დაზიანება • შეინარჩუნეთ ელ. ხელსაწყოები, რომელიც გადმოგეცემათ გამოსაყენებლად - სუფთა და მოვლილ მდგომარეობაში • ხელსაწყოები შეინახეთ მშრალ და უსაფრთხო/იზოლირებულ ადგილას • აკრძალულია გაკვანძული/გადახლართული ელ.სადენიანი ხელსაწყოს გამოყენება/დენის წყაროზე დაერთება